

ევროპის საბჭო
მინისტრთა კომიტეტი

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია № R(2000)1
წვერი სახელმწიფოების მიმართ
ტერიტორიულ თემებს ან ხელისუფლებებს შორის კულტურის სფეროში
ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ხელშეწყობის თაობაზე

(მიღებულია 2000 წლის 12 იანვარს მინისტრთა კომიტეტის მიერ მინისტრთა
მოადგილეების 693-ე სხდომაზე)

მინისტრთა კომიტეტი ევროპის კავშირის წესდების მე-15 “ბ” მუხლის გათვალისწინებით,

1989 წლის 6 ოქტომბერს, ევროპის საბჭოს მე-40 საიუბილეო თარიღზე მიღებული ევროპაში ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ მინისტრთა კომიტეტის დეკლარაციის გათვალისწინებით;

ვენაში, 1993 წლის 9 ოქტომბერს ხელმოწერილი, ევროსაბჭოს წვერი სახელმწიფოების სახელმწიფო მეთაურებისა და მთავრობების დეკლარაციის, უფრო კონკრეტულად კი შემდეგი განცხადების: “ტოლერანტული და მდიდარი ევროპის შექმნა მხოლოდ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობაზე არ არის დამოკიდებული, არამედ, ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებებს შორის თანამშრომლობას მოითხოვს თითოეული სახელმწიფოს კონსტიტუციისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის რაიმე საფრთხის შექმნის გარეშე” გათვალისწინებით;

1980 წლის 21 მაისს ხელმოწერილი “ტერიტორიულ თემებსა და ხელისუფლებებს შორის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ ევროპის სახელმძღვანელო კონვენციისა” და 1995 წლის 9 ნოემბერს ხელმოწერილი მისი დამატებითი პროტოკოლისა და 1998 წლის 5 მაისს ხელმოწერილი მისი №2 პროტოკოლის გათვალისწინებით;

ევროპის საზაზღვრო რეგიონებს შორის თანამშრომლობაზე ევროპის ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების კონფერენციის 165(1985) რეზოლუციის გათვალისწინებით, რომელიც კულტურის სფეროში ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ხელშეკრულების მოდელის შექმნას ითვალისწინებს;

რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლებებისა და სკოლების ტრანსსასაზღვრო და ტრანსნაციონალური თანამშრომლობის შესახებ ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების კონგრესის 259(1994) რეზოლუციის გათვალისწინებით, რომელიც სახელმძღვანელო კონვენციაში ნახსენები ხელშეკრულების მოდელის გაგრძელებაა;

ითვალისწინებს რა, რომ კარგი სამეზობლო ურთიერთობები უფრო თავისუფალი და ტოლერანტული ევროპის შექმნის საფუძველია, რაც ასე მნიშვნელოვანია დემოკრატიული სტაბილურობის გასამყარებლად;

ითვალისწინებს რა, რომ ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების მოვალეობაა ტრანსსასაზღვრო ღონისძიებებში მონაწილეობა თავიანთი ეროვნული

კანონმდებლობისა და მათი სახელმწიფოების მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების ფარგლებში

ითვალისწინებს რა, რომ კულტურის სფეროში ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა მოსაზღვრე ტერიტორიების მოსახლეობას შორის ურთიერთგაგებასა და ნდობას აძლიერებს მიუხედავად იმისა აქვთ თუ არა საერთო ენა, რელიგია თუ კულტურული მემკვიდრეობა და განსხვავებული კულტურული წარსული;

ესმით რა, რომ კულტურის სფეროში მყარი ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა ამარტივებს საზღვრებს შორის ურთიერთობას და აღრმავებს სხვა სფეროებში, მაგალითად განათლების, საჯარო მომსახურების, ეკონომიკური განვითარების, გარემოს დაცვის, რეგიონული დაგეგმარებისა და საგანგებო სიტუაციებში ურთიერთდახმარების სფეროებში თანამშრომლობას და აქედან გამომდინარე, ტრანსსასაზღვრო ურთიერთობების ფუნდამენტს წარმოადგენს;

ითვალისწინებს რა, რომ რიგ წევრ სახელმწიფოებში კულტურის სფეროში ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმა წარმატებით ხორციელდება;

მტკიცედ გადაწყვეტა რა კულტურის სფეროში ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის უფრო ფართო პრაქტიკის დანერგვა და განვითარება გარკვეული სახელმძღვანელო პრინციპების, მაგალითებისა და ზომების წამოწევით;

წევრი სახელმწიფოების მთავრობებს რეკომენდაციას უწევს შეიმუშავონ ჩამოყალიბებული პოლიტიკა კულტურის სფეროში ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ხელშესაწყობად და მხარი დაუჭირონ ტერიტორიული თემებისა და ხელისუფლებების ინიციატივებს ასეთი თანამშრომლობის ჩამოყალიბებაში იმ სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით, რომელიც ამ რეკომენდაციის დანართშია მოცემული.

რეკომენდაცია No. R (2000) 1–ს დანართი

კულტურის სფეროში ტერიტორიულ თემებსა და ხელისუფლებებს შორის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის სახელმძღვანელო პრინციპები

I. ტერმინთა განმარტება

ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა ტერიტორიულ თემებსა და ხელისუფლებებს შორის

“ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა ტერიტორიულ თემებსა და ხელისუფლებებს შორის”- ტერმინის განმარტება ტერიტორიულ თემებსა და ხელისუფლებებს შორის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ ევროპის სახელმძღვანელო კონვენციის მე-2 მუხლიდან არის აღებული, რომლის მიხედვითაც:

“{...}ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა არის ტერიტორიულ თემებსა თუ ხელისუფლებებს შორის მეზობლური კავშირების გაძლიერებისა და წახალისებისკენ მიმართული ნებისმიერი გადამწყვეტი მოქმედება ორი თუ მეტი კონტრაქტორი მხარის იურისდიქციის და ნებისმიერი ხელშეკრულებისა და ამ მიზნისთვის აუცილებელი ხელშეკრულების ფარგლებში.”

“ტერიტორიული თემები და ხელისუფლებები” აღნიშნავს თემებს, ხელისუფლებებს ან ორგანოებს, რომლებიც ადგილობრივ და რეგიონულ ფუნქციებს ასრულებენ და ასეთებად არიან მიჩნეულნი თითოეული სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობით.

ტერმინები “საზღვრები” “მოსაზღვრე” აღნიშნავს ორივე, სახმელეთო და საზღვაო საზღვრებსა და მოსაზღვრე რეგიონებს. წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპები ასევე ეხება ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობასთან დაკავირებულ ყველა ცვლილებას, რომელიც სხვადასხვა სახელმწიფოების სახმელეთო და/ან საზღვაო სანაპირო რეგიონების ტერიტორიული თემების და ხელისუფლებების მიერ შეიძლება განხორციელდეს

კულტურის სფერო

კულტურის სფეროში ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა მოიცავს განათლებას (მათ შორის ენების შესწავლას), კულტურულ საქმიანობას, ხელოვნებას, ახალგაზრდულ და სპორტულ ღონისძიებებს, კულტურულ მემკვიდრეობასა და მედიას.

II. კულტურის სფეროში ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის პრინციპები

1. კულტურის სფეროში ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის მიზანი ხალხთა დაახლოება და საზღვრის ორივე მხარეს მყოფი მოსახლეობისთვის ამ საქმიანობით თანაბარი სარგებლის მოტანის უზრუნველყოფაა.
2. სასაზღვრო ტერიტორიული თემებმა და ხელისუფლებებმა, კულტურული პოლიტიკის შემუშავების დროს უნდა გაითვალისწინონ ამ კულტურული პოლიტიკის ტრანსსასაზღვრო განზომილება და კულტურული ინსტიტუტები უნდა წაახალისონ და გაააქტიურონ კავშირები დაამყარონ თავიანთ საზღვრისმიდმა კოლეგებთან.
3. ამ საქმიანობაში ჩართულ ტერიტორიულ თემებსა და ხელისუფლებებს, ასევე შესაბამის სამინისტროებს შორის, ინფორმაციის რეგულარული გაცვლა უნდა წარმოებდეს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ამ საქმიანობის შესაბამისობა ეროვნულ პოლიტიკასთან და საერთაშორისო ვალდებულებებთან.
4. ტრანსსასაზღვრო კულტურულმა ღონისძიებებმა რაც შეიძლება მეტი კულტურული ინსტიტუტი უნდა მოიცვას (მუზეუმები, თეატრები, არქივები, სკოლები, მედია)
5. კულტურის სფეროში ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა მდგრადობისკენ უნდა ისწრაფოდეს. მხარი უნდა დაეჭიროს სადაც შესაძლებელია ერთობლივი ცენტრების და საერთო ინსტიტუტების შექმნას.
6. სადაც ეს კანონმდებლობით ან კონსტიტუციით არ არის გათვალისწინებული, ცენტრალურმა მთავრობებმა სუბსიდიარობის პრინციპის გათვალისწინებით საჭირო სამართლებრივი ჩარჩოები უნდა შექმნან, რომლის ფარგლებშიც ტერიტორიული თემები და ხელისუფლებები კულტურის სფეროში ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობაში ჩაერთვებიან.

III მოქმედების არეალი

კულტურის სფეროში ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ჩამოყალიბებულმა პოლიტიკამ მოქმედებათა რამდენიმე არეალი უნდა მოიცვას. ქვემოთ მოყვანილია რამდენიმე მაგალითი

I. განათლება

განათლების ტრანსსასაზღვრო განზომილება საშუალებას იძლევა ახალგაზრდა თაობაში ადრეულ ეტაპზე ჩაინერგოს ქვეყნის მოსაზღვრე მოსახლეობისადმი პატივისცემა, გაგება და ტოლერანტობა.

კულტურის სფეროში ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის საგანმანათლებლო ასპექტისთვის შემდეგი ღონისძიებების გატარება შეიძლება:

- მოსწავლეთა და მასწავლებელთა გაცვლითი პროგრამების განხორციელება მოსაზღვრე სკოლების 'დამშობილებითა' და მათს შორის პარტნიორობით.
- საზღვრებს მიღმა ექსკურსიების მოწყობა
- მეზობელი ქვეყნების ენის, ისტორიისა და კულტურის შესახებ მეტი ცოდნის შეტანა მოსაზღვრე სკოლების სასწავლო გეგმებში.
- ორენოვანი სასწავლო პროგრამების განხორციელება
- საზღვრის მიღმა სკოლებში მისვლის გამარტივება სპეციალური სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებით
- ტრანსსასაზღვრო სასკოლო პროგრამების, ან თუ შესაძლებელია, საერთო სასწავლო გეგმის შექმნა, სადაც ორივე საზღვრიდან შეძლებენ ბავშვები ერთად დაესწონ გაკვეთილებს და ერთნაირი განათლება მიიღონ ნაწილობრივ ერთი და ნაწილობრივ მეორე მხარის სკოლის პედაგოგებისგან.
- მოსაზღვრე რეგიონების უნივერსიტეტებს შორის ტრანსსასაზღვრო აკადემიური მობილობისა და თანამშრომლობის წახალისება
- ადგიურვილობისა და ტექნიკის, მათ შორის ინტერნეტის ერთობლივი გამოყენება, და მოსაზღვრე ტერიტორიების უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ერთობლივი კვლევებისა და სასწავლო პროგრამების განხორციელება.

II. კულტურული ღონისძიებები

საზღვრის ორივე მხარეს კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის გამარტივება ამ საზღვრებს შორის დიალოგის დამყარებას, ფსიქოლოგიური ბარიერების აღმოფხვრას და ამავე დროს საერთო კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ცოდნის ამაღლებას უწყობს ხელს.

ამ კუთხით შემდეგი ნაბიჯები უნდა გადაიდგას:

- საზღვრების ორივე მხარეს თეატრებისა და საკონცერტო პროგრამების, მუზეუმების, ისტორიული ცენტრების, ძეგლების, სახალხო და სოფლების ფესტივალების შესახებ ერთობლივი ბროშურების გავრცელება
- რეგიონული კულტურის შესახებ ერთობლივი ფესტივალების, მუსიკალური და თეატრალური წარმოდგენების, გამოფენების მოწყობა
- მოსაზღვრე რეგიონებს შორის მეგობრობის დღეების აღიშნვა
- კულტურული ინსტიტუტების ფართო სპექტრს შორის თანამშრომლობა

III. ახალგაზრდობა და სპორტი

ახალგაზრდობის მონაწილეობა ტრანსსასაზღვრო ღონისძიებებში ეხმარება მათ ტრანსსასაზღვრო ხედვის ჩამოყალიბებაში და კულტურული და ისტორიული ტრადიციების მრავალფეროვნებისა და სიმდიდრის დანახვაში. საჭიროა ახალგაზრდების წახალისება ჩართონ ამ რეკომენდაციაში ნახსენები ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ყველა ასპექტში.

კულტურის სფეროში ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის წამახალისებელი საშუალებები შეიძლება იყოს:

- პარტნიორ თუ სხვა სკოლებს შორის სპორტული ღონისძიებებისა და შეჯიბრებების მოწყობა
- ახალგაზრდული ბანაკების მოწყობა, რომელშიც საზღვრის ორივე მხარის ახალგაზრდობა მიიღებს მონაწილეობას

IV. საერთო კულტურული მემკვიდრეობა

რიგ სასაზღვრო რეგიონებში, ისტორიულად არსებული კულტურული თავისებურება პოლიტიკურ საზღვრებს მიღმა ვრცელდებოდა. სასაზღვრო რეგიონების არქიტექტურული და არქეოლოგიური მემკვიდრეობა ისტორიულ და კულტურულ ღირებულებებს ემყარება, რომელსაც ხშირად საზღვრის ორივე მხარეს მყოფი მოსახლეობა იზიარებს. ტრანსსასაზღვრო ღონისძიებების რიგი ნაწილი მომართული უნდა იყოს ამ კულტურული მემკვიდრეობის ერთობლივად შენახვისა და პოპულარიზაციის სტრატეგიაზე. ეს ღონისძიებები შესაძლოა იყოს:

- კულტურული მარშრუტების შექმნა და პოპულარიზაცია, რომელიც საზღვრებს მიღმა გაიტანს საერთო კულტურულ მახასიათებლებს.
- არქიტექტურული მემკვიდრეობის შესანახად საჭირო ტექნიკური უნარებისა და ინფორმაციის გაცვლა, პროფესიულ გადამზადებაზე ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა.
- ტრანსსასაზღვრო მემკვიდრეობის ძეგლების, მათ შორის ლანდშაფტის მენეჯმენტის კოორდინაციისთვის გატარებული ერთობლივი ღონისძიებები
- სასაზღვრო რეგიონებს შორის კულტურული ტურიზმის პოპულარიზაციისთვის ერთობლივი პოლიტიკის ჩამოყალიბება

V. მედია

მოსაზღვრე რეგიონების ადგილობრივი და რეგიონული მედია ძლიერი ინსტრუმენტია არამხოლოდ მოსაზღვრე მოსახლეობებს შორის ურთიერთგაგებისა და ნდობის ჩამოყალიბების, არამედ, საქმიანობის სხვადასხვა სფეროში ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ჩამოყალიბების წახალისების საქმეში. შესაძლებელია შემდეგი ნაბიჯების წახალისება:

- ადგილობრივი, რეგიონული და ეროვნული ტელევიზიების ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა ტრანსსასაზღვრო ინტერესის საკითხებზე ერთობლივი პროგრამების შესაქმნელად და გადასაცემად.
- ადგილობრივი და რეგიონული რადიო სადგურებს შორის თანამშრომლობა მთელს სასაზღვრო ტერიტორიებზე ინფორმაციის გასავრცელებლად.
- ტრანსსასაზღვრო, ორენოვანი გაზეთების, ჟურნალების გამოცემა, რომელშიც ინფორმაცია შევა მოსაზღვრე რეგიონზე.
- ტრანსსასაზღვრო პრეს კლუბების შექმნა მეზობელ რეგიონზე(რეგიონებზე) ობიექტური რეპორტაჟების მოსამზადებლად.
- ადგილობრივი/რეგიონული რადიო პროგრამები მეზობელი რეგიონების ენის შესწავლისთვის.
- ინტერნეტის გამოყენება კულტურის სფეროში ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობისთვის (განსაკუთრებით ტრანსსასაზღვრო ორენოვანი გაზეთის შესაქმნელად)

IV. ტრანსსასაზღვრო სტრუქტურული და ადმინისტრაციული განვითარების ხელშეწყობი ზომები

კულტურულ სფეროში ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობას არ უნდა ქონდეს დროებითი, შემთხვევითი ხასიათი. ხელი უნდა შეეწყოს ტრანსსასაზღვრო სტრუქტურების შექმნასა და მუდმივი კავშირების დამყარებას საზღვრებს შორის.

შემდეგი ნაბიჯები უნდა გადაიდგას:

- ისეთი ადგილობრივი და რეგიონული ასოციაციების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, რომლებიც მიზნად კულტურულ თანამშრომლობას ისახავენ

- მოსახლეობებს შორის ურთიერთგაგების ხელშესაწყობად მოსაზღვრე რეგიონებში კულტურის ცენტრების შექმნა არსებული ეროვნული კანონმდებლობისა და პროცედურების შესაბამისად.
- საერთო სასაზღვრო კულტურის შემსწავლელი ერთობლივი ინსტიტუტების შექმნა
- მოსაზღვრე ადგილობრივი და რეგიონული ადმინისტრატორების რეგულარული შეხვედრები ყოველწლიური ტრანსსასაზღვრო კულტურული პროგრამების შესამუშავებლად და განსახორციელებლად
- რეგულარული კონფერენციები კულტურის საკითხებში რეგიონებს შორის თანამშრომლობის პოპულარიზაციის მიზნით
- მოსაზღვრე რეგიონებისა და ქალაქების “დაძმობილება”

V. სამართლებრივი, ადმინისტრაციული და ტექნიკური ბარიერების აღმოფხვრის ზომები

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გადაჭრან ყველა ის სამართლებრივი, ადმინისტრაციული და ტექნიკური სირთულე, რომელიც კულტურის სფეროში ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ჩამოყალიბებას და მეზობელ სახელმწიფოებთან ამ კუთხით თანამშრომლობას შეუშლის ხელს.

გასათვალისწინებელია შემდეგი ზომები:

- მეზობელ სახელმწიფოებს შორის მეგობრობასთან, კეთილმეზობლურ ურთიერთობებთან და კულტურულ თანამშრომლობასთან დაკავშირებით დადებულ თუ დასადებ ხელშეკრულებებს უნდა ჩაემატოს წინადადება კულტურის სფეროში ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ;
- საზღვრის გადაჭრის პროცედურების გამარტივება მოსაზღვრე მოსახლეობისთვის, რომლებიც კულტურულ ღონისძიებებს ესწრებიან. ასეთი პროცედურა შეიძლება იყოს ვიზის გარეშე მიმოსვლა ან სავიზო მოსაკრებლისგან გათავისუფლება, სასაზღვრო კონტროლის გამარტივება და ა.შ.
- საბაჟო შემოწმების პროცედურების გამარტივება იმ ტვირთზე, რომელიც კულტურულ ღონისძიებებში უნდა გამოიყენონ (მაგ. მუსიკალური ინსტრუმენტები)
- სკოლების ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ხელშეკრულების შემუშავება (მასწავლებელთა და მოსწავლეთა გაცვლითი პროგრამებისთვის), რაც უფრო კონკრეტული ადგილობრივი ხელშეკრულებების ზოგადი ჩარჩო გახდება.
- კვალიფიკაციების- დიპლომებისა და სკოლების სერტიფიკატების ერთობლივი აღიარებისათვის/ცნობისათვის ნაბიჯების გადადგმა ეროვნული პროცედურების შესაბამისად.

VI. კულტურის სფეროში ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ხელშეწყობის ფინანსური ზომები

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გადაამოწმონ შესაძლებელია თუ არა იმ სასაზღვრო ტერიტორიული თემებისა და ხელისუფლებების ფინანსური მხარდაჭერა, რომლებიც კულტურის საკითხებზე ექსპერიმენტულ ერთობლივ პროექტებს ახორციელებენ და რომელთაც უდიდესი გავლენა აქვთ კეთილმეზობლური ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე.

ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებული სტრატეგიები შეიძლება მოიცავდეს:

- კერძო და საჯარო სექტორის მხიდან ადგილობრივი და რეგიონული რადიო სადგურებისა და ტელევიზიების მხარდაჭერის წახალისებას მედიაში პლურალიზმის სტიმულირების მიზნით.
- სასაზღვრო ტერიტორიებზე მოღვაწე ორგანიზაციებისა და დაწესებულებების(სავაჭრო და სამრეწველო პალატები, კომპანიები და ა.შ) წახალისებას მხარი დაუჭირონ კულტურის სფეროში ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობას.
- კულტურის სფეროში ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის საქმეში ადგილობრივი და რეგიონული ბიუჯეტების ხარჯვის ბარიერების აღმოფხვრას
- მეზობელი სახელმწიფოების სხვადასხვა სამინისტროებს შორის ორმხრივი მთავრობათა შორისი ფონდის შექმნას კულტურის სფეროში ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ინიციატივების ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად.
- სასაზღვრო ტერიტორიული თემებისა და ხელისუფლებების ინფორმირებას ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის პროექტების დასაფინანსებლად ევროპული ფინანსური ინსტრუმენტების არსებობის შესახებ, როგორცაა ევროპის საბჭოს ნდობის ამადლებს პროგრამა და ევროპის კავშირის შესაბამისი პროგრამები: Interreg, Phare and Tacis – ის პროგრამები ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობაზე.